სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/33

ქ. თბილისი

14 აგვისტო 2020

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე დამხმარე სტრუქტურული ერთეულის – „არქიტექტურული ბიუროს" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/106 დადგენილების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2020 წლის 14 აგვისტოს №05-01/8 წერილისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 14 აგვისტოს №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. სტუ-ის ადმინისტრაციის საშტატო განრიგში შევიდეს ცვლილება და გაუქმდეს სტუ-ის ინფრასტრუქტურის მართვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში შემავალი არქიტექტურული უზრუნველყოფის ბიურო, 9 საშტატო ერთეულით;

1.1. სტუ-ის ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯთაღრიცხვასა და, შესაბამისად, 2020 წლის დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, „შრომის ანაზღაურების" მუხლი შემცირდეს საშტატო განრიგში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გამოთავისუფლებული 49 500 ლარით, საიდანაც 18 345 ლარი მიმართულ იქნეს „ოფისის ხარჯებში" კომუნალური გადასახადებისათვის, 760 ლარი – „სამედიცინო ხარჯებში, 21 308 ლარი – „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების" ხარჯებში, ხოლო 5 487 ლარი – „სხვა ხარჯების" მუხლში სასამართლო ბაჟისა და დასუფთავების მოსაკრებელისათვის.

2. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე შეიქმნას არქიტექტურული ბიურო, 5 საშტატო ერთეულით;

2.1. სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და, შესაბამისად, 2020 წლის დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „თანამდებობრივი სარგოს“ პუნქტი გაიზარდოს საშტატო განრიგში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მომატებული თანხით – 33 750 ლარით, რითაც შემცირდეს „პრემიის პუნქტი“.

3. დამტკიცდეს არქიტექტურული ბიუროს დებულება წარმოდგენილი სახით;

4. დადგენილება ძალაში შევიდეს დამტკიცებისთანავე;

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**